ოქმი:**ო37. 37232975**
თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო ჭანიშვილის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 23 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
12.00: საათი.

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ნინო ჭანიშვილი არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნინო ჭანიშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ნ. ჭანიშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი ,“2023 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღები წესი“.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა დადგენილება N 25 . საანგარიშო პერიოდში აქტიური მონაწილეობა მიიღო NDI-ს პროექტში „ლიდერი ქალი ცვლილებებისათვის. თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრის CPC-მ განახორციელა პროექტი ქალთა ეკონომიკური ჩართულობის მიზნით „შინსაქმე ვაქციოთ პროფესიად“

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. და აღნიშნა, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

კოლეგებმა,საკრებულოს წევრებმა ნ,სარჯველაძემ,ბ, მელუამ, მ.ვაშალომიძემ და დამსწრე ამომრჩევლებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ნინო ჭანიშვილს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე